



# შენაბამისობის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“**შ ა მ ტ კ ი ც ე პ**”

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების  
სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

  
ფრიდონ შენგელია

„01“ „02“ 2018 წელი

ვგზ N1

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015-  
2016 წლებში განხორციელებული სახელმწიფო  
შესყიდვების და საოლქო საარჩევნო კომისიების 2015-  
2016 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის  
ანგარიში N 17/36

## სარჩევი

|                                                                                 |           |
|---------------------------------------------------------------------------------|-----------|
| შემაჯამებელი მიმოხილვა .....                                                    | 3         |
| რეკომენდაციები .....                                                            | 4         |
| <b>1. შესავალი .....</b>                                                        | <b>6</b>  |
| 1.1. აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა .....                     | 6         |
| 1.2. აუდიტორის პასუხისმგებლობა .....                                            | 6         |
| 1.3. აუდიტის საგანი.....                                                        | 6         |
| 1.4. აუდიტის მასშტაბი.....                                                      | 6         |
| 1.5. აუდიტის კრიტერიუმები .....                                                 | 7         |
| 1.6. აუდიტის მიზანი .....                                                       | 7         |
| <b>2. ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ .....</b>          | <b>8</b>  |
| <b>3. ცესკოს შესყიდვების პროცესის ნაკლოვანებები.....</b>                        | <b>11</b> |
| 3.1 პრეტენდენტთა შერჩევა/შეფასების პროცედურები .....                            | 11        |
| 3.2 ქონების ჩანაცვლების ოპერაციები.....                                         | 13        |
| 3.3 სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დოკუმენტაციის და აღრიცხვის ხარვეზები ..... | 14        |
| 3.4 ინვენტარის შესყიდვა .....                                                   | 17        |
| <b>4. საოლქო-საარჩევნო კომისიების საქმიანობა .....</b>                          | <b>18</b> |
| 4.1 ანგარიშების ფორმები .....                                                   | 18        |
| 4.2 ხარჯების დოკუმენტურად დადასტურება .....                                     | 18        |
| 4.3 საწვავის შეძენა და ხარჯვა .....                                             | 19        |
| 4.4 შრომის ანაზღაურება.....                                                     | 21        |
| 4.5 „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოთხოვნების დარღვევა .....              | 23        |
| 4.6 წინასწარი ანგარიშსწორებით განხორციელებული შესყიდვები .....                  | 24        |
| 4.7 მცირეფასიანი მატერიალური ფასეულობების შესყიდვა.....                         | 24        |

## შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2015-2016 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და საოლქო საარჩევნო კომისიების 2015-2016 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა გარკვეული ნაკლოვანებები ცესკოს მიერ შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, კერძოდ:

- 1) **პრეტენდენტთა შერჩევა/შეფასების პროცედურები:** კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციის გათვალისწინების გარეშე შემუშავდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები ცალკეულ ტენდერში, რაც მასში მონაწილეობის მსურველი პრეტენდენტებისთვის შემზღუდავ პირობას წარმოადგენდა და ხელს უშლიდა შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და პროპორციული მიდგომის უზრუნველყოფას. ასევე, ცესკოს ვებ-გვერდის მომსახურების შესყიდვისას არ იქნა გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ბრძანებით<sup>1</sup> დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“<sup>2</sup> მოთხოვნები.
- 2) **ქონების ჩანაცვლების ოპერაციები:** ტექნიკურად გაუმართავ მდგომარეობაში მყოფი და ნაწილობრივ განკომპლექტებული მიკროავტობუსის, სედანის“ ტიპის ახალი ავტომანქანით ჩანაცვლებისას, ცესკოს მიერ არასწორად იქნა გამოყენებული ჩანაცვლების საფუძვლები, რაც ეწინააღმდეგება ჩანაცვლების ზოგად პრინციპებს და მიზნებს.
- 3) **სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დოკუმენტაციის და აღრიცხვის ხარვეზები:** გამარტივებული წესით სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვისას მიმწოდებლებზე თანხების ანაზღაურება არ ხორციელდებოდა ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების მიხედვით, როგორც ეს მოითხოვება შესაბამისი მარეგულირებული ნორმებით.
- 4) **ინვენტარის შესყიდვა:** 2016 წელს ცესკოს მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდული იყო ისეთი მატერიალური ფასეულობები, რომელთა სახეობისა და რაოდენობის განსაზღვრა არ იყო დამოკიდებული საარჩევნო პერიოდის დაწყებაზე და მათი შესყიდვა შესაძლებელი იყო სატენდერო პროცედურების საშუალებით.

საოლქო-საარჩევნო კომისიების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობის და პოტენციური გადაცდომების თავიდან არიდების მიზნით, ცესკოს მიერ ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება, კერძოდ შემუშავებულია დამხმარე სახელმძღვანელო, ასევე რეგულარულად ტარდება თანამშრომელთა ტრენინგები. მიუხედავად ამისა, საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობის აუდიტის შედეგად გამოვლინდა გარკვეული ნაკლოვანებები, კერძოდ:

- 1) **ხარჯების კლასიფიკაცია:** საოლქო კომისიების მიერ არჩევნებთან დაკავშირებული გასახარჯი თანხების მოცულობებს ცესკო განსაზღვრავდა ხარჯების ფუნქციონალური<sup>3</sup> კლასიფიკაციით, ხოლო საოლქო კომისიები საფინანსო ანგარიშს ცესკოში წარადგენდნენ ხარჯების ეკონომიკური<sup>4</sup> კლასიფიკაციის მიხედვით. კლასიფიკაციაში აღნიშნული განსხვავებები

<sup>1</sup> 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანება

<sup>2</sup> მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი.

<sup>3</sup> ფუნქციონალური კლასიფიკაცია - საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციონირების უზრუნველყოფის ხარჯები.

<sup>4</sup> ეკონომიკური კლასიფიკაცია - საუბნო კომისიის შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, სოციალური უზრუნველყოფა, სხვა ხარჯები.

ართულებს ხარჯების შედარებას და ვერ უზრუნველყოფს სათანადო კონტროლს ფულადი სახსრების ხარჯვაზე.

- )/ **ხარჯების დოკუმენტურად დადასტურება:** ზოგიერთი საოლქო კომისიის მიერ ცალკეული ხარჯის გაწევა არ დასტურდება დოკუმენტურად.
- )/ **საწვავის შეძენა და ხარჯვა:** არსებობს რისკი, რომ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საწვავის შეძენა არ ხორციელდებოდა საჭიროებიდან გამომდინარე და მათი ხარჯვა არ ეფუძნებოდა რეალურ მონაცემებს, რაც კონტროლის არსებითი სისუსტეა.
- )/ **შრომის ანაზღაურება:** ცესკოს განკარგულებებით დადგენილი იყო საოლქო კომისიების დამხმარე და ტექნიკური პერსონალის ზღვრული ოდენობა, თუმცა დადგენილებები არ განსაზღვრავდა დაქირავებულ პირთა ხელფასების ოდენობას. შრომის ანაზღაურების განსაზღვრისას არ არსებობდა ერთიანი მიდგომა, განსხვავებული იყო სხვადასხვა საოლქო კომისიის მიერ ერთი და იმავე სამუშაოს შესასრულებლად დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურების ოდენობა.
- )/ **„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოთხოვნების დარღვევა:** 2015-2016 წლებში ზოგიერთი საოლქო კომისიის თავმჯდომარე იმავდროულად რეგისტრირებული იყო მეწარმე სუბიექტად, რაც ეწინააღმდეგებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.
- )/ **წინასწარი ანგარიშსწორებით განხორციელებული შესყიდვები:** საოლქო კომისიებში გამოვლინდა მიმწოდებლებისგან გარანტიის წარმოდგენის გარეშე წინასწარი ანგარიშსწორების ფაქტები, რითაც დარღვეულია შესაბამისი მარეგულირებელი ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნები.
- )/ **მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა:** ზოგიერთი საოლქო კომისიის მიერ 500 ლარზე მეტი ღირებულების მცირეფასიანი ინვენტარი შესყიდული იყო საოლქო კომისიის თავმჯდომარის შესაბამისი განკარგულებების გარეშე.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია ცესკოს მიერ შესყიდვების განხორციელებისას და საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობაში არსებული გარკვეული ნაკლოვანებები და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

## რეკომენდაციები

### ცენტრალურ საარჩევნო კომისიას:

**რეკომენდაცია N1:** სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვისას ცესკოს მიერ მიმწოდებლისაგან მოთხოვნილ იქნეს ფაქტიური ხარჯის დადასტურება, დაწესდეს კონტროლი გეგმური მოგების დარიცხვის სისწორეზე და ანაზღაურება განხორციელდეს აღნიშნულის შესაბამისად.

**რეკომენდაცია N2:** საბიუჯეტო თანხების ეკონომიურად ხარჯვის მიზნით გაუმჯობესდეს სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის პროცესი.

**რეკომენდაცია N3:** საარჩევნო ოლქების მიერ გახარჯული თანხების ხარჯვაზე უფრო ეფექტიანი კონტროლის მიზნით ცესკომ უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშგების ფორმების შემოღება.

**რეკომენდაცია N4:** ცესკოს მიერ განისაზღვროს საოლქო საარჩევნო კომისიებისა და საარჩევნო უბნების მიერ შესაძენი საწვავის ოპტიმალური რაოდენობა და შემუშავდეს მათი ხარჯვის შესაბამისი კონტროლის მექანიზმები.

**რეკომენდაცია N5:** საოლქო კომისიის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად რესურსების რაციონალურად გამოყენებისთვის, მიზანშეწონილია დამხმარე პერსონალის თანამდებობრივი სარგოს გაანგარიშების დროს ისარგებლონ ერთგვაროვანი მიდგომის პრინციპით.

**საოლქო საარჩევნო კომისიებს:**

**რეკომენდაცია N6:** საოლქო კომისიების მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, მიმწოდებლებისგან მოთხოვნილ იქნეს წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის გარანტია.

გამოყენებული შემოკლებანი

- ცენტრალური საარჩევნო კომისია - ცესკო;
- საოლქო საარჩევნო კომისია - საოლქო კომისია.

## 1. შესავალი

### 1.1. აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ცესკოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებებს.

### 1.2. აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტი წარმოადგენს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა ცესკოს საქმიანობა სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობას.

აუდიტი ჩატარდა შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ამოწმებს ყველა ფინანსურ ოპერაციას. აუდიტის ანგარიში და დასკვნა არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად, აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას. ჩვენ მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

### 1.3. აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა:

- ცესკოს მიერ 2015-2016 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები.
- საოლქო საარჩევნო კომისიების 2015-2016 წლების საქმიანობა.

### 1.4. აუდიტის მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ცესკოს მიერ 2015-2016 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების 2015-2016 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.



### 1.5. აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“;
- ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საოლქო საარჩევნო კომისიების რეგლამენტი;
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დადგენილებები და განკარგულებები;
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება;
- „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება.

### 1.6. აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით, იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;


ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.



## 2. ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება:

1. ცესკოსა და მისი აპარატისგან;
2. უსკოსა და მისი აპარატისგან;
3. საოლქო საარჩევნო კომისიებისგან;
4. საუბნო საარჩევნო კომისიებისგან.



ცენტრალური საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი უმაღლესი ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ხელმძღვანელობს და აკონტროლებს ყველა დონის საარჩევნო კომისიებს და უზრუნველყოფს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

საოლქო საარჩევნო კომისია<sup>5</sup> არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი ტერიტორიული ორგანო, რომელსაც აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდებით, შტამპი, ანგარიშსწორებისა და მიმდინარე საბანკო ანგარიშები. საოლქო კომისიების დაფინანსება ხდება მხოლოდ საარჩევნო პერიოდში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე თანხის ჩარიცხვის გზით. 2015-2016 წლებში დაფინანსების ოდენობა განისაზღვრებოდა ცესკოს მიერ საოლქო კომისიების საბიუჯეტო განაცხადების წარდგენის გარეშე. აღნიშნული შეიცვალა ცესკოს 2017 წლის 13 ივნისის N10/217 დადგენილებით და 2017 წლიდან საოლქო კომისიების დაფინანსება ხორციელდება მათ მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადების საფუძველზე.

საუბნო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის დროებითი ტერიტორიული ორგანო, რომელიც იქმნება მხოლოდ საარჩევნო/სარეფერენდუმო პერიოდში.

<sup>5</sup> საქართველოს ორგანული კანონის - „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტი

## ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაფინანსება (ლარი)

| წელი | დაზუსტებული გეგმა | საკასო ხარჯი | გეგმის ათვისება (%) |
|------|-------------------|--------------|---------------------|
| 2015 | 23,568,900        | 23,359,911   | 99.1%               |
| 2016 | 70,913,807        | 69,985,769   | 98.7%               |

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2015-2016 წლებში გაწეული საკასო ხარჯი პროგრამების მიხედვით მოყვანილია ქვემოთ:


| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება                                                  | 2015 წელი (ლარი) | 2016 წელი (ლარი) |
|-----------------|-----------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| 06 01           | საარჩევნო გარემოს განვითარება                                         | 9,133,527        | 10,214,236       |
| 06 02           | არჩევნების ჩატარების ღონისძიებები                                     | 1,386,295        | 46,007,167       |
| 06 03           | საარჩევნო ინსტიტუციის განვითარება და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა | 688,048          | 888,590          |
| 06 04           | პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება           | 12,152,040       | 12,875,775       |

ცესკოს მიერ 2015 წელს (მუნიციპალიტეტების საკრებულოს შუალედური არჩევნები ჩატარდა 8 საარჩევნო ოლქში) გაფორმდა 1,167,968 ლარის, ხოლო 2016 წელს (საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა 73 საოლქო საარჩევნო ოლქში) - 7,841,225 ლარის სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები. წლების მიხედვით, ტენდერისა და გამარტივებული შესყიდვების ხვედრითი წილი მოყვანილია ქვემოთ:

გრაფიკი 1: ტენდერი და გამარტივებული შესყიდვები 2015, წილი %



გრაფიკი 2: ტენდერი და გამარტივებული შესყიდვები<sup>6</sup> 2016, წილი %




<sup>6</sup> არ მოიცავს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ თანხებს (657,266 ლარი), ვინაიდან მათზე არ ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.


### საოლქო საარჩევნო კომისიების დაფინანსება

2015-2016 წლებში საოლქო კომისიების დაფინანსებისა და საარჩევნო პერიოდის დასრულების შემდგომ, მათ მიერ აუთვისებული და შესაბამისად, ბიუჯეტში უკან დაბრუნებული თანხების შესახებ ინფორმაცია მოყვანილია ქვემოთ:

გრაფიკი 3: აუთვისებული თანხები, 2015<sup>7</sup>




გრაფიკი 4: აუთვისებული თანხები, 2016<sup>8</sup>




2015-2016 წლებში საოლქო კომისიების მიერ გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოყვანილია დიაგრამებში:

გრაფიკი 5: გაწეული ხარჯები, 2015.



გრაფიკი 6: გაწეული ხარჯები, 2016.



აუდიტორული შერჩევის საფუძველზე 73 საოლქო საარჩევნო კომისიიდან შემოწმებულ იქნა 35 საოლქო საარჩევნო კომისიის<sup>9</sup> 2015-2016 წლების საქმიანობა კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით.

<sup>7</sup> მუნიციპალიტეტების საკრებულოს შუალედური არჩევნები.

<sup>8</sup> 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები.

<sup>9</sup> 2016 წელს მიღებული დაფინანსების 62%.

### 3. ცესკოს შესყიდვების პროცესის ნაკლოვანებები

#### 3.1 პრეტენდენტთა შერჩევა/შეფასების პროცედურები

სახელმწიფო შესყიდვების ტენდერის საშუალებით განხორციელებისას საკვალიფიკაციო მონაცემებისთვის წაყენებული მოთხოვნები ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას. აუცილებელია, დაცული იყოს თანასწორი მიდგომის და პროპორციულობის პრინციპები, რაც გულისხმობს საკვალიფიკაციო მონაცემების განსაზღვრას შესყიდვის ობიექტის სპეციფიკის, მოცულობის და მიწოდების ვადის გათვალისწინებით.

კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციის მიხედვით, მიმწოდებლებზე მოთხოვნილი წლიური ბრუნვა არ უნდა აღემატებოდეს სავარაუდო ღირებულების ორმაგ ოდენობას<sup>10</sup>.

##### 3.1.1. პროპორციულობის პრინციპებთან დაკავშირებული ხარვეზები

ცესკოს ადმინისტრაციული შენობის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების<sup>11</sup> შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 571,000 ლარს. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პრეტენდენტმა, საიდანაც სამი საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის<sup>12</sup> დისკვალიფიკაცია განხორციელდა იმ საფუძველით, რომ მათ მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ბოლო ორი წლის განმავლობაში წლიურად 2,100,000 ლარის ღირებულების ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების შესრულების გამოცდილება, რაც 1.8-ჯერ აღემატება სავარაუდო ღირებულების ორმაგ (571,000\*2=1,142,000 ლარი) ოდენობას. პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის შემდეგ, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით<sup>13</sup>, ელექტრონული ტენდერი შეწყდა<sup>14</sup> და ცესკოს მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით<sup>15</sup> ხელშეკრულებები გაფორმდა ორ სხვადასხვა მიმწოდებელთან, ჯამური ღირებულებით 496,508 ლარი.

ვაკის და სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიების შენობების სარემონტო სამუშაოების შესყიდვის ტენდერი<sup>16</sup>, ღირებულებით 22,533 ლარი არ შედგა მასში მონაწილეობის მსურველი პრეტენდენტის არარსებობის გამო. პრეტენდენტს უნდა ჰქონოდა ორი წლის განმავლობაში წლიურად 136,000 ლარის ღირებულების მსგავსი სამუშაოების შესრულების გამოცდილება, რაც 3-ჯერ აღემატება სავარაუდო ღირებულების ორმაგ (22,533\*2=45,066 ლარი) ოდენობას.

<sup>10</sup> შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაცია ევროკავშირის 2014/24/EU დირექტივის გათვალისწინებით.

<sup>11</sup> SPA160015523

<sup>12</sup> „კრეატივ ლაინ ჯორჯიას ფილიალი საქართველოში“ – 490,000 ლარი, „ალგეთი“ – 493,000 ლარი, „აგრომშენსერვისი“ – 494,500 ლარი.

<sup>13</sup> ოქმი N4, 2016 წლის 21 ივლისი.

<sup>14</sup> შეწყვეტის საფუძველი: „შერჩევა - შეფასების ვადების გახანგრძლივება შეაფერხებდა საარჩევნო პროცესის განხორციელებას“.

<sup>15</sup> „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 52-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>16</sup> 2016 წლის 24 მაისს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი (SPA160015240), სავარაუდო ღირებულება - 22.533 ლარი.

ტენდერის ჩაშლის შემდეგ, გამარტივებული<sup>17</sup> შესყიდვის ხელშეკრულება<sup>18</sup> გაფორმდა მიმწოდებელთან<sup>19</sup>, რომელსაც სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემების თანახმად, მსგავსი სამუშაოების წარმოების გამოცდილება არ გააჩნდა.

### დასკვნა

კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციის გათვალისწინების გარეშე შემუშავდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები ცესკოს ადმინისტრაციული შენობის ეზოს კეთილმოწყობის, აგრეთვე ვაკისა და სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიების შენობების სარემონტო სამუშაოების შესყიდვისას, რაც მასში მონაწილეობის მსურველი პრეტენდენტებისთვის შემზღუდავ პირობას წარმოადგენს და ხელს უშლის შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და პროპორციული მიდგომის უზრუნველყოფას<sup>20</sup>.

#### 3.1.2. საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარვეზები

საკვალიფიკაციო მოთხოვნების (სატენდერო პირობების) გათვალისწინების გარეშე იქნა გამოვლენილი<sup>21</sup> გამარჯვებული ცესკოს ვებ-გვერდის დამზადების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2015 წლის 20 ნოემბერს გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში<sup>22</sup> სავარაუდო ღირებულებით 31,355 ლარი. პრეტენდენტთათვის განისაზღვრა ანალოგიური მომსახურების გაწევის (ვებ-გვერდების დიზაინისა და დეველოპმენტის) მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილების ქონის ვალდებულება.

ტენდერში გამარჯვებულმა შპს „არტმედია“ ვერ წარადგინა სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი ანალოგიური პროექტების განხორციელების 5 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია. სატენდერო კომისიას აღნიშნულ გარემოებაზე არ უმჯელია, ცესკოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ტენდერს მიენიჭა სტატუსი, გამარჯვებული გამოვლენილია და შპს „არტმედია“-სთან გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება<sup>23</sup>.

### დასკვნა

ცესკოს მიერ არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“<sup>24</sup> მოთხოვნები.

<sup>17</sup> „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 52-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>18</sup> N 25/07/3.

<sup>19</sup> ი/მ „მამუკა ქვრივიშვილთან“.

<sup>20</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

<sup>21</sup> გამარჯვებული გამოვლენილია – სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მას შემდეგ, რაც სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი და შესაბამისი დოკუმენტაცია (ასეთი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში) დადგენილი წესით აიტვირთება სისტემაში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებაში და სატენდერო დოკუმენტაციაში ასახულ მოთხოვნებს - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი.

<sup>22</sup> SPA150031094

<sup>23</sup> N15/12/1 2015 წ.

<sup>24</sup> მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი.



### 3.2 ქონების ჩანაცვლების ოპერაციები

**3.2.1. ავტომანქანის ჩანაცვლება.** მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სატრანსპორტო საშუალებები უნდა ჩანაცვლდეს ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებით.

2016 წლის 27 დეკემბერს, გამარტივებული შესყიდვის<sup>25</sup> საფუძველზე, ცესკომ 1988 წელს გამოშვებული მიკროავტობუსი FORD TRANZIT, რომლის ღირებულება სსიპ - „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნის თანახმად შეადგენდა 1,500 ლარს, ჩანაცვლა 73,912 ლარის ღირებულების 2016 წლის გამოშვების ავტომანქანით - TOYOTA CAMRY. ფასთა სხვაობის (ღირებულების 98%) შესავსებად მიმწოდებელს - „შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდ-ინ კომპანის“ ცესკომ აუნაზღაურა 72,412 ლარი.

ჩანაცვლების განხორციელებამდე, აღნიშნული მიკროავტობუსი<sup>26</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წელს გაცემული ბრძანების<sup>27</sup> საფუძველზე, უსასყიდლოდ გადაეცა ჩუღურეთის საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელმაც თავის მხრივ, 2016 წლის 9 დეკემბერს, ანუ ჩანაცვლების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე 17 კალენდარული დღით ადრე, აღნიშნული მიკროავტობუსი გადასცა ცესკოს. გადაცემის მომენტამდე, მიკროავტობუსი არ ირიცხებოდა არც ცესკოს და არც საოლქო კომისიის ბალანსზე.

სსიპ - „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2016 წლის 26 დეკემბერს გაცემულ დასკვნაში<sup>28</sup> ასევე აღნიშნულია, რომ გადაცემის მომენტში მიკროავტობუსი ტექნიკურად გაუმართავ მდგომარეობაში იყო, გარე პერიმეტრზე არსებულ მნიშვნელოვან დაზიანებებთან ერთად განკომპლექტებული იყო მისი ძალური აგრეგატი და სავალი ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ შესყიდვის დოკუმენტაციის<sup>29</sup> თანახმად, ავტომანქანა TOYOTA CAMRY შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდ-ინ კომპანის“ მიერ შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისისგან“ შესყიდული იყო 69,326 ლარად, რომელიც ცესკოსთვის მიწოდებულ იქნა 4,586 ლარის ფასნამატით.

#### დასკვნა

აუდიტის ჯგუფის აზრით, ცესკოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ იყო მიმართული მიკროავტობუსის გამოყენებისგან მისაღები ეკონომიკური სარგებლის შენარჩუნება/გაუმჯობესებისკენ, ვინაიდან ჩანაცვლებული ავტოსატრანსპორტო საშუალების პარამეტრები, ტიპი და დანიშნულება სრულიად განსხვავებული იყო ჩანაცვლებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაბამისი მახასიათებლებისგან, კერძოდ, მიკროავტობუსი ჩანაცვლებულ იქნა „სედანის“<sup>30</sup> ტიპის ავტომანქანით. აღნიშნული გარემოებებისა და ფასთა თანაფარდობის გათვალისწინებით, ავტომანქანის ჩანაცვლება ფაქტობრივად წარმოადგენდა ცესკოს მიერ ჩანაცვლების საფუძვლების არასწორად გამოყენებას, რაც ეწინააღმდეგება ჩანაცვლების ზოგად პრინციპებს და მიზნებს.

<sup>25</sup> CMR160222787, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.

<sup>26</sup> 2009 წლის 1 ივნისის ექსპერტიზის<sup>26</sup> დასკვნის თანახმად, შეფასდა 5,700 ლარად.

<sup>27</sup> მომსახურების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 13 მაისის N406 ბრძანება.

<sup>28</sup> N 007638816.

<sup>29</sup> სასაქონლო ზედანადები N ელ-0290940678, ავტომანქანის ღირებულება - 69,326 ლარი.

<sup>30</sup> განპიროვნებული ავტომანქანა.

ახალი ავტომატის შეძენას სატენდერო პროცედურებით და არა ჩანაცვლების გზით, შესაძლოა შეემცირებინა ავტომატის ფასი. ამასთანავე, ცესკოს არ წარმოექმნებოდა ქონების შეფასებით გამოწვეული მომსახურების ხარჯების გაწევის ვალდებულება.

### 3.3 სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დოკუმენტაციის და აღრიცხვის ხარვეზები

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება ანაზღაუროს მეწარმის მიერ ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების შესაბამისად. დანადგარებისა და მოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოებზე, პირდაპირი დანახარჯებისა და ზედნადები ხარჯების ჯამს მიმწოდებელმა უნდა დაარიცხოს გეგმური მოგება მოწყობილობების ღირებულების გამოკლებით<sup>31</sup>.

ცესკომ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, თუ კონკრეტულად რომელ შემთხვევაში განხორციელდა მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება ფაქტობრივი ხარჯის გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე არცერთი ხელშეკრულების ფარგლებში არ არის კორექტირებული (შემცირებული) ასანაზღაურებელი თანხის მოცულობა, გამოყენებულ რესურსზე ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

**3.3.1. ცესკოს ადმინისტრაციული შენობის ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესყიდვის<sup>32</sup> მიზნით, 2016 წლის 25 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, შპს „ასკო“-ს აუნაზღაურდა 197,155 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა სხვაობები შესრულებულ სამუშაოს აქტი<sup>33</sup> დაფიქსირებულ ღირებულებასა და მიმწოდებლის მიერ აქტივის შეძენის ფასებს შორის, კერძოდ:**

| დასახელება              | ცესკოს მიერ<br>ანაზღაურებული<br>ღირებულება <sup>34</sup> | შპს „ასკოს“ მიერ<br>აქტივის შეძენის<br>ფასი <sup>35</sup> | სხვაობა <sup>36</sup> |
|-------------------------|----------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------|-----------------------|
|                         | I                                                        | II                                                        | I-II                  |
| ზეთოვანი ტრანსფორმატორი | 26,000                                                   | 12,874                                                    | 13,126                |
| ძაბვის სტაბილიზატორი    | 47,500                                                   | 41,500                                                    | 6,000                 |
| <b>სულ</b>              |                                                          |                                                           | <b>19,126</b>         |

შპს „ასკოდან“ მიღებული ინფორმაციით, აღნიშნული სხვაობები გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობაში მოსაყვანად აუცილებელი იყო დამატებითი მასალები და სამუშაოების გაწევა, რომლებიც შესრულებული სამუშაოს აქტში არ იყო ასახული.

<sup>31</sup> საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება: ტექნიკური რეგლამენტის „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1-1/1463 ბრძანება „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“.

<sup>32</sup> CMR160140025

<sup>33</sup> 2016 წლის 19 ოქტომბრით დათარიღებული შესრულებული სამუშაოს აქტი (ფორმა N2).

<sup>34</sup> ფორმა N2-ის შესაბამისად

<sup>35</sup> შპს „მეხამრიდი“ სასაქონლო ზედნადები Nელ-0261073691 და N ელ-0267301574

<sup>36</sup> სხვაობის კალკულაცია განხორციელდა პირდაპირი დანახარჯების მიხედვით.



## დასკვნა

აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი და შესაფერისი რწმუნება სამუშაოებზე გაწეული ხარჯების ფაქტობრივ დანახარჯებთან შესაბამისობის შესახებ.

**3.3.2 ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების<sup>37</sup>** ფაქტიური ღირებულება განისაზღვრა 287,960 ლარის ოდენობით. შპს „ინჟინერი“ მიერ ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტად წარმოდგენილი იქნა მისთვის ქვეკონტრაქტორის<sup>38</sup> მიერ სრული სამუშაოების შესრულების ამსახველი დოკუმენტაცია (ფორმა N2).

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სამუშაოები შპს „ინჟინერი“-ს მიერ ქვეკონტრაქტორისთვის გადაცემული იქნა ისე, რომ არ მომხდარა დამკვეთის (ცესკო) ინფორმირება მისგან თანხმობის მიღების მიზნით, რითაც დარღვეულია მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-8 მუხლის მოთხოვნები<sup>39</sup>. შპს „ინჟინერსა“ და ქვეკონტრაქტორის შესრულებულ სამუშაოთა აქტებში პირდაპირი დანახარჯები წარმოდგენილია ერთი და იმავე ღირებულებით<sup>40</sup>.

შპს „ინჟინერი“-ს მიერ შედგენილ შესრულებული სამუშაოების აქტებში ცალკეული სამუშაოების ღირებულება შეუდარდა მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ გამოცემულ სამშენებლო რესურსების ფასებს<sup>41</sup>, რის შედეგადაც გამოვლინდა სხვაობები, კერძოდ:

| დასახელება                         | რაოდენობა (ტონა) | ერთი ტონის ღირებულება <sup>42</sup> (ლარი) | სულ ღირებულება (ლარი) | რესურსული ფასი ერთ ტონაზე (ლარი) | სულ ღირებულება (ლარი) | სულ <sup>43</sup> სხვაობა (ლარი) |
|------------------------------------|------------------|--------------------------------------------|-----------------------|----------------------------------|-----------------------|----------------------------------|
|                                    | I                | II                                         | I x II                | III                              | I x III               |                                  |
| მსხვილმარცვლოვანი ბეტონი (H-0.05მ) | 151.12           | 140                                        | 21,157                | 101                              | 15,263                | 5,894                            |
| წვრილმარცვლოვანი ბეტონი (H-0.04მ)  | 126.62           | 150                                        | 18,993                | 110                              | 13,928                | 5,065                            |
| წვრილმარცვლოვანი ბეტონი (H-0.03მ)  | 13.1             | 155                                        | 2,031                 | 110                              | 1,441                 | 590                              |
| <b>სულ</b>                         |                  |                                            |                       |                                  |                       | <b>11,549</b>                    |

## დასკვნა

აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ იქნა მიღებული საკმარისი და შესაფერისი რწმუნება სამუშაოებზე გაწეული ხარჯების ფაქტობრივ დანახარჯებთან შესაბამისობის შესახებ. ამასთანავე,

<sup>37</sup> შპს „ინჟინერთან“ 2016 წლის 25 ივლისს გაფორმდა 295,769 ლარის N25/07/06 ხელშეკრულება CMR160142199

<sup>38</sup> შპს „ენ ეს გრუპი“, ხელშეკრულება N1, 3 ავგისტო 2016 წელი

<sup>39</sup> „მიმწოდებელმა შემსყიდველს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები“.

<sup>40</sup> გარდა ერთი პოზიციისა (1 ტონა H-0.05მ მსხვილმარცვლოვანი ასფალტბეტონი) რომელიც შპს „ინჟინერის“ მიერ 1 ტონაზე განფასებულია 2.42 ლარით მეტი ღირებულებით, შესაბამისად ფასთა სხვაობამ 151.12 ტონაზე 366 ლარი შეადგინა.

<sup>41</sup> 2016 წლის მე-4 კვარტალი, გვ 36.

<sup>42</sup> ფორმა N2-ის შესაბამისად.

<sup>43</sup> სხვაობის კალკულაცია განხორციელდა პირდაპირი დანახარჯების მიხედვით.

სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრისას არ იყო გათვალისწინებული იმ დროს არსებული საბაზრო ფასები.

გ) გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის სარემონტო სამუშაოებზე<sup>44</sup> შპს „გოლფსტრიმი“-ს მიერ წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოს აქტებში, ცალკეულ პოზიციებზე განფასებული საქონლის ღირებულებები აუდიტის ჯგუფის მიერ შედარებულ იქნა მათ საბაზრო ღირებულებებთან<sup>45</sup>, რომლის შედეგად გამოვლინდა სხვაობები, კერძოდ:

| დასახელება | რაოდენობა<br>(კვადრატული<br>მეტრი) | ერთი კვ.მ-ის<br>ღირებულება<br><sup>46</sup> (ლარი) | სულ<br>ღირებულებ<br>ა (ლარი) | რესურსული<br>ფასი ერთ კვ.მ-<br>ზე (ლარი) | სულ<br>ღირებულ<br>ება (ლარი) | სულ <sup>47</sup> სხვაობა<br>(ლარი) |
|------------|------------------------------------|----------------------------------------------------|------------------------------|------------------------------------------|------------------------------|-------------------------------------|
|            | I                                  | II                                                 | I x II                       | III                                      | I x III                      |                                     |
| ლინკრომი   | 1,250                              | 4.6                                                | 5,750                        | 3.9                                      | 4,875                        | 875                                 |

ამავე ფორმა N2-ის მიხედვით, კონდიციონერების და ვენტილაციის მონტაჟის სამუშაოებზე, გეგმური მოგება დარიცხული იყო პირდაპირი დანახარჯებისა და ზედნადები ხარჯების ჯამზე (11,622 ლარი), რომელშიც არ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული მოწყობილობების ღირებულება - 9,364 ლარი. შედეგად, გეგმურმა მოგებამ ნაცვლად 180 ლარისა<sup>48</sup>, შეადგინა 929 ლარი<sup>49</sup>. ამ კომპონენტში ცესკოს მიერ ზედმეტად ანაზღაურდა 749 (929-180) ლარი.

ანალოგიურად, 12,405 ლარის ღირებულების ელექტროსამონტაჟო სამუშაოებზე გეგმური მოგების დარიცხვისას, არ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული 9,741 ლარის, ხოლო 8,336 ლარის ღირებულების გათბობის სამუშაოებზე - 7,099 ლარის მოწყობილობების ღირებულება. პირველ შემთხვევაში ცესკოს მიერ ზედმეტად ანაზღაურებული თანხა შეადგენდა 779 ლარს<sup>50</sup>, ხოლო მეორე შემთხვევაში - 567 ლარს<sup>51</sup>.

## დასკვნა

აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია სამუშაოებზე გაწეული ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ. სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრისას არ იყო გათვალისწინებული იმ დროს არსებული საბაზრო ფასები. ამასთანავე, ცესკომ მიმწოდებელს ზედმეტად აუნაზღაურა 2,095 ლარი.

<sup>44</sup> შპს „გოლფსტრიმი“-ს 2016 წლის 21 ივლისის გაფორმებული ხელშეკრულება N 21/07/1-სგ.

<sup>45</sup> 2016 წლის მე-3 კვარტალი, გვ 33

<sup>46</sup> ფორმა N2-ის შესაბამისად.

<sup>47</sup> სხვაობის კალკულაცია განხორციელდა პირდაპირი დანახარჯების მიხედვით.

<sup>48</sup>  $(11,662 - 9,364) * 8\%$ .

<sup>49</sup>  $11,662 * 8\%$

<sup>50</sup>  $12,405 * 110\% * 8\% - (12,405 * 110\% - 9,741) * 8\%$

<sup>51</sup>  $8,336 * 110\% * 8\% - (8,336 * 110\% - 7,099) * 8\%$

რეკომენდაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიას:

სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვისას, ცესკომ მიმწოდებლისაგან მოითხოვოს ფაქტიური ხარჯის დადასტურება, დაწესდეს კონტროლი გეგმური მოგების დარიცხვის სისწორეზე და ანაზღაურება განხორციელდეს აღნიშნულის შესაბამისად.

### 3.4 ინვენტარის შესყიდვა

საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად<sup>52</sup>, არჩევნების შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია უფლებამოსილია საარჩევნო/სარეგისტრაციო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვები განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ცესკოს მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 2016 წელს შესყიდული იყო ისეთი საქონელი, რომელთა სახეობისა და რაოდენობის განსაზღვრა არ იყო დამოკიდებული საარჩევნო პერიოდის დაწყებაზე, ვადები არ იყო შეზღუდული და მათი შესყიდვა შესაძლებელი იყო სატენდერო პროცედურების საშუალებით, ასე მაგალითად:

| შესყიდვის საგანი                                            | რაოდენობა     | ღირებულება (ლარი) |
|-------------------------------------------------------------|---------------|-------------------|
| პლანშეტური კომპიუტერი <sup>53</sup>                         | 400           | 94,000            |
| საიდენტიფიკაციო ბეჭდი და ორკალთიანი ჩასაცმელი <sup>54</sup> | 30,000/50,000 | 94,400            |
| პოლიეთილენის თვითწებვადი პარკი <sup>55</sup>                | 19,000        | 50,489            |
| მარკირების სითხე (ცალი)                                     | 13,300        | 86,450            |
| <b>სულ</b>                                                  |               | <b>325,339</b>    |

აღსანიშნავია, რომ 2013-2014 წლებში<sup>56</sup> ორკალთიანი ჩასაცმელის, საიდენტიფიკაციო ბეჭდების, პოლიეთილენის დასალუქი პარკების და მარკირების სითხის შესყიდვა განხორციელდა ტენდერის<sup>57</sup> საშუალებით.

### დასკვნა

შესყიდვების სწორად დაგეგმვის შემთხვევაში, ზემოაღნიშნული საქონლის შესყიდვა შესაძლებელი იყო სატენდერო პროცედურების საშუალებით, რაც გაზრდიდა ბიუჯეტის ეკონომიური ხარჯვის შესაძლებლობას.

რეკომენდაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიას:

საბიუჯეტო თანხების ეკონომიურად ხარჯვის მიზნით, გაუმჯობესდეს სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის პროცესი.

<sup>52</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის (ორგანული კანონი) 52-ე მუხლის მე-6 პუნქტი

<sup>53</sup> CMR 160135151

<sup>54</sup> CMR 160144597

<sup>55</sup> CMR 160152692

<sup>56</sup> 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

<sup>57</sup> SPA 130015453; SPA140009288, SPA130013291; SPA140009291, SPA130012959, SPA130013284; SPA140008066

## 4. საოლქო-საარჩევნო კომისიების საქმიანობა

### 4.1 ანგარიშგების ფორმები

საოლქო კომისიების მიერ არჩევნებთან დაკავშირებული გასახარჯი თანხების მოცულობებს ცესკო განსაზღვრავდა ხარჯების ფუნქციონალური<sup>58</sup> კლასიფიკაციით, ხოლო საოლქო კომისიები საფინანსო ანგარიშს ცესკოში წარადგენდნენ ხარჯების ეკონომიკური<sup>59</sup> კლასიფიკაციის მიხედვით, რაც ართულებს ხარჯების შედარებას და ვერ უზრუნველყოფს სათანადო კონტროლს ფულადი სახსრების ხარჯვაზე.

### დასკვნა

ცესკო არ ფლობს შესადარის ინფორმაციას, რაც ართულებს ხარჯების შედარებას და ვერ უზრუნველყოფს ცესკოს მიერ სათანადო კონტროლს ფულადი სახსრების ხარჯვაზე.

რეკომენდაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიას:

საარჩევნო ოლქების მიერ გახარჯული თანხების ხარჯვაზე ეფექტიანი კონტროლის მიზნით, ცესკომ უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშგების ფორმების შემოღება.

### 4.2 ხარჯების დოკუმენტურად დადასტურება

ბუღალტრულ ანგარიშებზე ჩანაწერების შეტანის საფუძველს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც ასახავს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს<sup>60</sup>. ზოგიერთი საოლქო კომისიის მიერ ცალკეული ხარჯი გაწეული იყო შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, ასე მაგალითად:

➤ **ჩუღურეთის** საოლქო საარჩევნო კომისიასა და ფიზიკურ პირს<sup>61</sup> შორის 2016 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულება<sup>62</sup>, ღირებულებით 12,500 ლარი, ითვალისწინებდა ოლქში შემავალი საარჩევნო უბნების<sup>63</sup> შენობების სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულებას.

) ხელშეკრულებასა და დანართში ობიექტის აღწერილობა და ერთეულის ფასი არ იყო ასახული.

) შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე არ იყო რეგისტრირებული, არც აღნიშნული დანართი და არც ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

<sup>58</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 10 ივნისის N32/2016 და 2016 წლის 19 ოქტომბრის N71/2016 დადგენილებები „საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე“.

<sup>59</sup> ცესკო-ს თავმჯდომარის 2014 წლის 10 დეკემბრის N327/2014 განკარგულება „საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ წარმოსადგენი არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების ანგარიშგების ფორმის დამტკიცების თაობაზე“.

<sup>60</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

<sup>61</sup> ვლადიმერ ჯაგინოვი.

<sup>62</sup> CMR 160172041.

<sup>63</sup> საარჩევნო უბნები განთავსებული იყო სხვადასხვა კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კუთვნილ შენობებში.

- )/ აუდიტის მიმდინარეობისას საოლქო კომისიის მიერ წარმოდგენილი დანართი ხელმოწერილი იყო მხოლოდ საოლქო კომისიის თავმჯდომარის მიერ.
- )/ დანართში არ იყო ასახული კონკრეტულად ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულება, ხოლო წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტი არ იძლევა ცალკეული სამუშაოს იდენტიფიცირების და მათი ზუსტი ღირებულების განსაზღვრის საშუალებას.

- **ახალქალაქის** საოლქო საარჩევნო კომისიის საბანკო ამონაწერის მიხედვით, 2016 წლის 19 ივლისს, ბანკის სალაროში განაღდებული იყო 2,500 ლარი, რომლის დანიშნულებაში მითითებული იყო გადაზიდვის ხარჯები. საოლქო საარჩევნო კომისიის საფინანსო ანგარიშის მიხედვითაც, ტრანსპორტირების ხარჯმა 2,500 ლარი შეადგინა. საოლქო კომისიის მიერ წარმოდგენილ იქნა მხოლოდ მიღება/ჩაბარების აქტი<sup>64</sup>, რომლის თანახმად ოლქის თავმჯდომარემ შტატგარეშე მოსამსახურეს 2,500 ლარი გადასცა გადაზიდვის მიზნით, თუმცა აქტში არ არის დაკონკრეტებული გადასაზიდი საქონლის დასახელება და მომსახურების პირობები.
- **ისნის** საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ინდივიდუალური მეწარმისთვის<sup>65</sup> საარჩევნო ინვენტარის გადაზიდვის მომსახურების ასანაზღაურებლად გადარიცხული იყო 450 ლარი. აღნიშნულ მომსახურებაზე წარმოდგენილ იქნა მხოლოდ თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

გამომდინარე იქიდან, რომ ახალქალაქის და ისნის საოლქო კომისიების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულება და გადაზიდვასთან დაკავშირებული სხვა პირველადი დოკუმენტაცია, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო გონივრული რწმუნება მომსახურების ფაქტობრივად გაწევის და მომსახურების პირობების თაობაზე.

### დასკვნა

სულ ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის შესაბამისი დოკუმენტების არსებობის გარეშე გაწეულ იქნა 15,450 ლარის ხარჯი.

### 4.3 საწვავის შეძენა და ხარჯვა

შერჩეული 35 საოლქო კომისიის მიერ, 2016 წელს შეძენილი იყო 396,338 ლარის საწვავი, მათ შორის, 340,073 ლარის საწვავი (86%) შესყიდული იყო შპს „რომპეტროლ საქართველოსგან“<sup>66</sup>, ტალონების სახით.

საოლქო კომისიები შპს „რომპეტროლთან“ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ტალონებს მიმწოდებლისგან იღებდნენ ერთიანად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ხოლო „რომპეტროლის“ მიერ ნავთობპროდუქტების სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა და, შესაბამისად, საოლქო კომისიის მხრიდან ანგარიშსწორება წარმოებდა ფაქტობრივად გამოყენებული ტალონების/აგს-ებზე ჩასხმული საწვავის რაოდენობის მიხედვით<sup>67</sup>.

<sup>64</sup> 2016 წლის 20 ივლისის მიღება/ჩაბარების აქტი.

<sup>65</sup> მიხეილ ხიზანიშვილი.

<sup>66</sup> კონსოლიდირებული ტენდერის ფასით.

<sup>67</sup> ანგარიშ-ფაქტურებში საწვავის მიმღებად დაფიქსირებულია ცესკო.



საოლქო კომისიების მიერ შეძენილი ტალონები გაიცემოდა როგორც საოლქო კომისიის თანამშრომლებზე, აგრეთვე საუბნო საარჩევნო კომისიებზე, რომლებიც საოლქო კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენდნენ ინფორმაციას (საწვავის გახარჯვის აქტი) მათი მიზნობრივად ხარჯვის თაობაზე.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების შეჯამების მეორე დღეს, 2016 წლის 17 ნოემბერს, ცესკომ წერილობით მიმართა შპს „რომპეტროლს“ საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის საწვავის მიწოდების შეწყვეტის თაობაზე, რაც დაკმაყოფილდა.

ცესკოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით<sup>68</sup>, აღნიშნული თარიღისთვის გამოუყენებელი/აუთვისებელი დარჩა 25,843 ლარის ღირებულების 19,160 ლიტრი საწვავის ტალონი, მაშინ როდესაც საოლქო კომისიების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეძენილი (გადაცემული) ტალონები გახარჯული იყო სრულად.

აღსანიშნავია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებმა საწვავი შეიძინეს არჩევნების მეორე ტურის ჩატარების მიზნით, მაშინ როდესაც არჩევნების პირველი ტურის ორგანიზებისთვის შეძენილი საწვავიდან 9,575 ლიტრი (აუთვისებელი საწვავის 50%) ჯერ კიდევ გამოუყენებელი იყო.

ქვევით მოყვანილია ინფორმაცია საოლქო კომისიების მიერ ფაქტობრივად გამოუყენებელი („რომპეტროლის“ მიერ დაბლოკილი) საწვავის თაობაზე.

| საოლქო<br>კომისია | გამოუყენ<br>ებელი<br>საწვავი<br>(ლიტრი) | გამოუყენ<br>ებელი<br>საწვავი/<br>სულ<br>გამოუყენ<br>ებელი<br>საწვავი | საოლქო<br>კომისია | გამოუყენ<br>ებელი<br>საწვავი<br>(ლიტრი) | გამოუყენ<br>ებელი<br>საწვავი/ს<br>ულ<br>გამოუყენ<br>ებელი<br>საწვავი | საოლქო<br>კომისია | გამოუყენ<br>ებელი<br>საწვავი<br>(ლიტრი) | გამოუყენ<br>ებელი<br>საწვავი/ს<br>ულ<br>გამოუყენ<br>ებელი<br>საწვავი |
|-------------------|-----------------------------------------|----------------------------------------------------------------------|-------------------|-----------------------------------------|----------------------------------------------------------------------|-------------------|-----------------------------------------|----------------------------------------------------------------------|
| ქუთაისი           | 2,550                                   | 13%                                                                  | ვაკე              | 490                                     | 3%                                                                   | ლანჩხუთი          | 250                                     | 1%                                                                   |
| დიდუბე            | 1,670                                   | 9%                                                                   | სენაკი            | 455                                     | 2%                                                                   | ზუგდიდი           | 205                                     | 1%                                                                   |
| სამგორი           | 1,570                                   | 8%                                                                   | გორი              | 450                                     | 2%                                                                   | გურჯაანი          | 175                                     | 1%                                                                   |
| გლდანო            | 1,370                                   | 7%                                                                   | ხობი              | 420                                     | 2%                                                                   | ხაშური            | 170                                     | 1%                                                                   |
| ნაძალადევი        | 1,330                                   | 7%                                                                   | მარნეული          | 390                                     | 2%                                                                   | ახალქალაქი        | 170                                     | 1%                                                                   |
| ისანი             | 1,100                                   | 6%                                                                   | საბურთალო         | 340                                     | 2%                                                                   | მცხეთა            | 160                                     | 1%                                                                   |
| ხარაგაული         | 910                                     | 5%                                                                   | ფოთი              | 320                                     | 2%                                                                   | ოზურგეთი          | 130                                     | 1%                                                                   |
| კასპი             | 875                                     | 5%                                                                   | მთაწმინდა         | 300                                     | 2%                                                                   | თელავი            | 120                                     | 1%                                                                   |
| საჩხერე           | 860                                     | 4%                                                                   | კრწანისი          | 300                                     | 2%                                                                   | თერჯოლა           | 110                                     | 1%                                                                   |
| ქობულეთი          | 775                                     | 4%                                                                   | ახალციხე          | 250                                     | 1%                                                                   | ზესტაფონი         | 50                                      | 0.3%                                                                 |
| ბათუმი            | 645                                     | 3%                                                                   | რუსთავი           | 250                                     | 1%                                                                   |                   |                                         |                                                                      |

<sup>68</sup> შპს „რომპეტროლ საქართველოს“ მიერ მიწოდებული რეესტრი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გახარჯული და გამოუყენებელი საწვავის ტალონების შესახებ.



- **ისნის** საოლქო კომისიამ წარმოადგინა მხოლოდ საოლქო კომისიის თავჯდომარის განკარგულებები საოლქო კომისიის წევრებისა და დამხმარე/შტატგარეშე მოსამსახურეებისთვის, ასევე საუბნო-საარჩევნო კომისიებისათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის თაობაზე (სულ - 5,650 ლიტრი), ხოლო კონკრეტულ თანამშრომელზე ტალონების გადაცემის და მათ მიერ საწვავის მიზნობრივად ხარჯვის აქტები ვერ იქნა წარმოდგენილი.
- **ახმეტის** საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ საოლქო კომისიის თავჯდომარისთვის წარდგენილი საწვავის (სულ 8,690 ლიტრი) გახარჯვის აქტები არასრულყოფილად არის შევსებული, ვინაიდან ის არ შეიცავს ინფორმაციას გამოყენებული საწვავის მიზნობრიობის შესახებ, რაც მოითხოვებოდა მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

### დასკვნა

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებს მნიშვნელოვან რისკზე, რომ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საწვავის შეძენა არ ხორციელდება საჭიროებიდან გამომდინარე და მათი ხარჯვა არ ეფუძნება რეალურ მონაცემებს, რაც კონტროლის არსებითი სისუსტეა.

რეკომენდაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიას:

ცესკოს მიერ განისაზღვროს საოლქო საარჩევნო კომისიებისა და საარჩევნო უბნების მიერ შესაძენი საწვავის ოპტიმალური რაოდენობა და შემუშავდეს მათი ხარჯვის შესაბამისი კონტროლის მექანიზმები.

### 4.4 შრომის ანაზღაურება

საოლქო კომისიას არჩევნების დანიშვნის შემდეგ მის დასრულებამდე უფლება აქვს, დაიქირაოს დამხმარე და ტექნიკური პერსონალი (გარდა ბუღალტრისა) ცესკოს განკარგულებით დადგენილი რაოდენობის ფარგლებში<sup>69</sup>.


2015-2016 წლებში ცესკოს განკარგულებებით დადგენილი იყო საოლქო კომისიების დამხმარე და ტექნიკური პერსონალის ზღვრული ოდენობა. ამასთანავე, საოლქო კომისიებს ევალებოდათ არანაკლებ ერთი ბუღალტრის და იურისტის დაქირავება.

ცესკოს 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტით გამოვლინდა, რომ დამხმარე პერსონალის (მათ შორის, იურისტი, ბუღალტერი) შრომის ანაზღაურების განსაზღვრისას ერთიანი მიდგომის არარსებობის გამო, განსხვავებული იყო სხვადასხვა საოლქო კომისიის მიერ ერთი და იმავე სამუშაოს შესასრულებლად დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურების ოდენობა.


<sup>69</sup> საარჩევნო კოდექსის მე-19 მუხლის მე-9 პუნქტი.

2016 წელსაც ხელშეკრულებით აყვანილ პირთა შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრებოდა საოლქო კომისიის თავმჯდომარეების შეხედულებისამებრ, ასე მაგალითად:


გრაფიკი 7: ბუღალტრის ხელფასი (ლარი)



გრაფიკი 8: იურისტის ხელფასი (ლარი)



გრაფიკი 9: მძღოლის ხელფასი (ლარი)



საოლქო საარჩევნო კომისიის რეგლამენტის<sup>70</sup> და ხელშეკრულებით აყვანილ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად, მათზე პრემია/დანამატის გაცემა გათვალისწინებული არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, საოლქო საარჩევნო კომისიის დამხმარე პერსონალზე 2016 წელს გაცემულ იქნა 4,128 ლარის პრემია/დანამატები, თუმცა აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი მათი გაცემის საფუძვლის დოკუმენტური დადასტურება:

- **ხელვაჩაურის** საოლქო კომისიის მიერ 3 თანამშრომელზე გაიცა პრემია/დანამატი ჯამურად 900 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ დამხმარე პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში არ იყო დაკონკრეტებული შრომის ანაზღაურების ოდენობა, ხოლო გაცემული ხელფასები თვეების მიხედვით განსხვავებული იყო.

<sup>70</sup> მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი: კომისიის ბუღალტერს, დამხმარე და ტექნიკურ პერსონალს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მთელი დროის განმავლობაში ენიშნებათ ხელფასი არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრებიდან.

- **ბოლნისის** საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ 5 შტატგარეშე თანამშრომელზე ერთჯერადად, ხელფასის სახით, დამატებით გაიცა ერთი თვის სარგო, ჯამში 2,288 ლარი.
- **საბურთალოს** საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო პერიოდში დროებით მომუშავე 6 თანამშრომელზე პრემიის სახით გაცემულ იქნა ჯამურად 950 ლარი.

### დასკვნა

ხელშეკრულებით აყვანილ პირთა შრომის ანაზღაურების ოდენობის საოლქო კომისიის თავმჯდომარეების შეხედულებისამებრ განსაზღვრა წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად გამოყენების რისკს.

რეკომენდაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიას:

იმის გათვალისწინებით, რომ საოლქო კომისიების თავმჯდომარეების და წევრების თანამდებობრივი სარგოები ცესკოს მიერ განისაზღვრებოდა საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით, საოლქო კომისიის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად რესურსების რაციონალურად გამოყენებისთვის, მიზანშეწონილია დამხმარე პერსონალის თანამდებობრივი სარგოს გაანგარიშების დროსაც ერთგვაროვანი მიდგომის გამოყენება.

### 4.5 „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოთხოვნების დარღვევა

საოლქო კომისიის თავმჯდომარეები წარმოადგენდნენ საჯარო მოხელეებს<sup>71</sup> და ამ პერიოდში მოქმედი კანონდებლობით, მათ არ შეეძლოთ ყოფილიყვნენ სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარევიზიო ორგანოს წევრი, მათ არ ჰქონდათ სამეწარმეო საქმიანობის უფლება. მათ შეეძლოთ მხოლოდ აქციებისა და წილის ფლობა<sup>72</sup>.

- **დიდუბის** საოლქო კომისიის თავმჯდომარე რეგისტრირებული იყო ინდივიდუალურ მეწარმედ, ამავე დროს ის დღემდე კერძო სამეწარმეო სუბიექტის ხელმძღვანელია (დირექტორი).
- **ჩულურეთის** საოლქო კომისიის თავმჯდომარე იყო და დღემდე არის რამდენიმე კერძო სამეწარმეო სუბიექტის ხელმძღვანელი (დირექტორი).
- **მარნეულის, მცხეთის, ზუგდიდის, ბათუმის, ნინოწმინდის, ხონის, ასპინძის** საოლქო კომისიის თავმჯდომარეები ამავე დროს ინდივიდუალური მეწარმეები არიან.

### დასკვნა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ სათანადო ყურადღება არ ექცეოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობას.

<sup>71</sup> საარჩევნო კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი, მოქმედი 2015-2016 წლების პერიოდში.

<sup>72</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-60 და 63-ე მუხლები.

#### 4.6 წინასწარი ანგარიშსწორებით განხორციელებული შესყიდვები

წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია<sup>73</sup>.

საოლქო კომისიებში გამოვლინდა მიმწოდებლებისგან საბანკო გარანტიის წარმოდგენის გარეშე წინასწარი ანგარიშსწორების ფაქტები, ასე მაგალითად:

- ახალქალაქის საოლქო კომისიის მიერ ინდივიდუალური მეწარმისგან<sup>74</sup> წინასწარი ანგარიშსწორებით შეძენილი იყო 3,541 ლარის ღირებულების საკანცელარიო საქონელი<sup>75</sup>.
- ჩუღურეთის საოლქო კომისიის მიერ ფიზიკური პირისათვის<sup>76</sup> ავანსის სახით გადარიცხულია 12,500 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოების<sup>77</sup> 40%.

რეკომენდაცია საოლქო საარჩევნო კომისიებს:

საოლქო კომისიებმა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებლებისგან მოითხოვონ წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის გარანტია.

#### 4.7 მცირეფასიანი მატერიალური ფასეულობების შესყიდვა

საოლქო კომისიებს უფლება ჰქონდათ შეესყიდათ მცირეფასიანი ინვენტარი<sup>78</sup>, რომელთა ჯამური ღირებულება არ უნდა ყოფილიყო 500 ლარზე მეტი, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, კერძოდ, არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ეფექტიანი ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, ფულადი სახსრების მუხლებს შორის გადანაწილება შესაძლებელი იყო საოლქო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით.

ზოგიერთი საოლქო კომისიის მიერ 500 ლარზე მეტი ღირებულების ინვენტარი შესყიდული იყო თავმჯდომარის შესაბამისი განკარგულებების გარეშე. ასე მაგალითად:

- სამტრედიის საოლქო კომისია - 1,530 ლარი;
- ხობის საოლქო კომისია - 1,270 ლარი;
- ზუგდიდის საოლქო კომისიას 1,880 ლარი.

წამყვანი აუდიტორი  
უფროსი აუდიტორი  
უფროსი აუდიტორი  
უფროსი აუდიტორი  
აუდიტორი  
აუდიტორი

მურმან დარახველიძე  
მერაბ ზაიცევი  
ლაშა ჭანტურიშვილი  
პაპუნა ხოფერია  
გიორგი მშვილდაძე  
ვახტანგ პერტაია

<sup>73</sup> „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ კანონის 21<sup>1</sup> მუხლი, შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-19 მუხლი

<sup>74</sup> ი/მ მაია ზახარაიანი

<sup>75</sup> CMR160140858

<sup>76</sup> ფ/3 ვლადიმერ ჯაგინოვი

<sup>77</sup> CMR160172041

<sup>78</sup> 2016 წლის 10 ივნისის N32/2016 და 2016 წლის 19 ოქტომბრის N71/2016 დადგენილებები „საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე“

